



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



N 25  
 25/04/2019

25-07-4-201904251420



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 განკარგულება №25  
 2019 წლის 25 აპრილი  
 ქ. ლანჩხუთი

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქ. ლანჩხუთში, მარჯანიშვილის ქ. N11-ში მდებარე 747.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ მდებარე 108,68 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.56.086) ) ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის (ს/კ 433642356) პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით, სარგებლობის უფლებით - უსასყიდლოდ გადაცემაზე.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო